



საკოლიტიკო სახეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

4

ი ა ნ ვ ა რ ი 23 1900 წ.

№ 4

შინაარსი: გიორგი წერეთლის გასვენება. — საგულისხმო მოვლენა ნ. ჟორდანიასი. — სიტყვები წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე — სამგლოვიარო დეპეშები. — გვირგვინები. — სამგლოვიარო ორესპონდენციები. — წერილები რედაქციის მიმართ და განცხადებები.

რედაქციის ჯდრესი: არტილერიის ქუჩა № 5.

დღეს, 23-ს იანვარს, დიდუბის ეკლესიაში გარდახდლი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

გიორგი ექ. წერეთლისა

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულისა აუწყებენ რა ნათესავთ და ნაცნობთ, სთხოვენ ბობრძანდენდენ დიდუბის ეკლესიაში წირვა დაიწყება დილის 9¹/₂ საათზე, პანაშვიდი 11¹/₂

გიორგი წერეთლის გასვენება.

ღვირვას 16 იანვარს მიაბარეს მიწას გიორგი წერეთელი. დილის ცხრა საათიდანვე მოდიოდნენ განსვენებულის პატივის მცემელნი და ათ საათამდის, როდესაც დანიშნული იყო მიცვალებულის გამოსვენება, დიდ ძალი ხალხი მოგროვდა. გასვენებამდე მოვიდნენ სხვა და სხვა წარმომადგენლები ქუთაისიდან და შორაპნიდან და მიცვალებულის კუბო გვირგვინებით შეამკეს. უკანასკნელ პანაშვიდის გადახდის შემდეგ ჯერ გვირგვინები გამოიტანეს; ამ გვირგვინებისათვის მომზადებული იყო ორი ბაღდადიანი. გვირგვინების შემდეგ გამოასვენეს კუბო, რომელსაც ქუჩაში დიდ ძალი ხალხი შეეგება. გოლოვინის პროსპექტით მიცვალებული უნდა მიესვენე-

ბიათ ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის გადასახდელათ. ეკლესიამდე კუბო ხალხს მიჰქონდა. რადგანაც გასვენების დღის გამოცხადება ცოტა დაგვიანდა და ზემო იმერეთში მიცვალებულის ნათესავებსა და პატივის მცემლებს გვიან გაეგოთ, ამიტომ იმერეთიდან იმ დილას ჩამოსულმა ნათესავებმა მხოლოდ გოლოვინის პროსპექტზე მოუსწრეს პროცესიას. თავში მიჰქონდათ ჯვარი, ხატი, ეკლესიის ბაირაღები, შემდეგ მიდიოდნენ ამქრები, მათ უკან მისდევდნენ შემდეგი დებუტაციები. თფილისიდან: ქალაქის გამგეობა in corpore, სამეურნეო ბანკის გამგეობა, სათავად-აზნ. ბანკის ორი დირექტორი, წარმომადგენელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ქართ. დრამატიული საზოგადოებისა, ქართული დასისა, ფარმაცევტთა საზოგ.; ხელოვანთა ამხანაგობა „შრომა“, სამივე გემნაზიის ქართველ მოწაფეთა, საოსტატო ინსტიტუტის ქარ. მოწაფეთა, რკინის გზის მოსამსახურეთაგან, მხარეულ-ლაქიათა საზოგადოების და ყველა ქართულ, რუსულ და სომხურ რედაქციებისაგან.

პროვინციიდან: ქუთაისის ახალგაზდობისაგან, ქუთაისის სათ. აზნაურო ბანკის გამგეობის და ზედამხედველი კამიტეტისაგან, ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინა მძღოლი, შორაპნის მაზრის

თავ. აზნ. წინამძღოლი, ქუთაისის ნოქრებისაგან, ბათუმის საზოგადოებისაგან, ბათუმის ქართველ მუშებისაგან, განჯის ქართველებისაგან, ფოთის, გორის, ქიათურის, კაკავის და ხონის საზოგადოებისაგან. შემდეგ მიდიოდენ მგალობლები, რომლებსაც უკან მიჰყვებოდა სამღვდლოება და მიუძღვოდა კუბოს, რომელსაც მოსდევდენ ქირისუფლები და მეგობრები. უკან მოდიოდა ურიცხვი ხალხი. ქვაშვეთის ეკლესია და გალავანი სულ გაჰყვდილი იყო ხალხით. მიცვალებულს აქ მიეგებენ დანარჩენი დეპუტაციები და პატივის მცემელნი. გვირგვინები იმდენი მოგროვდა, რომ მესამე ბალდახინი შეიქნა საქირო. ეკლესიაში შესვლა ყველას უნდოდა და ამიტომ საშინელი ვიწროობა იყო. მწირველი ბძანდებოდა ორი ეპისკოპოსი: ლეონიდი და კირიონი. მგალობელთა ხორა სამი იყო: სათავდაზნაურო სკოლის მოწაფენი, კავსაძისა და ქალეზის ხორა. წირვის დროს მღვდელმა ტყემალაძემ და ჯანაშვილმა სიტყვა წარმოთქვეს და გააცნეს დამსწრე საზოგადოებას მიცვალებულის ღირსებანი და მისი ღვაწლი სამშობლო ლიტერატურის წინაშე. მეორე საათზე გათავდა წირვა, მაგრამ ეკლესიიდან გარეთ გამოსვლა ახლა უფრო საძნელო იყო, რადგანაც ურიცხვ ხალხს მოეყარა თავი; განსაკუთრებით ძალიან ბევრი მოსულიყო თფილისის მუშა-ხალხი. გამოსვენეს მიცვალებული ეკლესიიდან და უნდოდათ ბალდახინზე დაესვენებიათ, მაგრამ ამაზე უარი განაცხადა მოსწავლე ახალ გაზღობამ, რომელსაც თავი მოეყარა, რომ უკანასკნელათ პატივი ეცა მიცვალებულისათვის. ვამნაზიელებმა წამოასვენეს კუბო და პროცესია ზემოხსენებული წესრიგით წამოვიდა ლორისმელიქოვის ქუჩაზე, იქიდან ბარათინსკის ქუჩაზე და ვარანცოვის ხიდზე. აქედან მიხაილოვის ქუჩით გავლეს მუშტაიდი და მიცვალებული მისვენეს დიდუბეში. გზაზე ხალხი თანდათან ემატებოდა; ხალხმა ორი მხრით ვაკეთა წრე, შუაში კი პროცესია მიემგზავრებოდა. მოსწავლეები მისვენებდენ კუბოს, რომელსაც უკან გვირგვინებით შემოსილი სამი ბალდახინი მისდევდა. მთელი გზა, წინა დღით ისე ატალახებული, ქალაქის გამგეობას ამ შემთხვევისთვის სამაგალითოთ დაესუფთავებია. მოსწავლეებმა კუბო ხელით მისვენეს სასაფლაომდე. ხალხს უკან მოსდევდა ურიცხვი ეტლები, პროცესიას სხვა და სხვა ალაგას ფოტოგრაფით იღებდენ. მიუხედავად იმისა, რომ პროცესიას დაუწინაურდა ოცამდე კაცი, რომლებსაც საფლავთან წესრიგი უნდა დაეცვათ-წინდა წინვე, მიცვალებულის გასვენებამდე იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ნემსი ვისმე გავარდნოდა, ძირს არ დავარდებოდა. ისეთი ვიწროობა იყო, რომ საფლავამდე მიღწევა ქირის-

უფლებსაც კი გაუჭირდათ. მიცვალებულის კუბოსთან მრავალი სიტყვები წარმოთქვა, რომელთაც ამავე ნომერში ვსტამბავთ. პროცესია გათავდა საღამოს 5 საათზე.

ს ა მ უ ლ ო ს ს მ მ მ ა მ მ ლ მ ნ ა .

რასაც დათეს იმას მომკიო—ნათქვამია და სწორეთ ეს ითქმის აწ განსვენებულ გიორგი წერეთელზე. მან რაც ორმოცი წლის განმავლობაში თესა, მომკა ერთ დღეს და ეს დიდებული დღეა—დღე მისი გასვენებისა. მთელ თავის სიცოცხლეში ეკლის გვირგვინის მატარებელმა ბოლოს ჟამს მიიღო ხელთუქმნელი დაფნის გვირგვინი, მიიღო არა ნათესავის, ნაცნობის და მეგობრისაგან, არამედ თითონ ხალხისაგან. ხალხისთვის თავ გამოდებული დაფნის ხალხმა, ხალხისთვის მეგრძოლი შეამკო ხალხმა. და ეს მან მოიმოქმედა არა ჩვეულებრივით, ნაძალადევით და გულ ჩახვეულათ, არამედ გულ წრფელათ, თავისი ნებით და აღფრთოვანებულათ. აქ ქართველმა ხალხმა დაგვანახვა თავისი თავი, გვამცნო თავისი ზნეობრივი სახე, ჩავახედა თავის გულის სიღრმეში და ამოგვაკითხა ის, რაც ასე შესანიშნავათ არასოდეს არ ამოუკითხვინებია. ხალხი, მუდამ აბუჩათ აგდებული ბევრ განსწავლულთაგან, 16 იანვარს ამიღლდა; ის, ქონდრის კაცებისაგან დაბრყვებული, ბუმბერაზათ გადაიქცა. მართალია, ის ყოველთვის იყო მღალღი, ყოველთვის იყო ბუმბერაზი, მაგრამ არასოდეს ეს ისე აშკარა და თვალსაჩინო არ გამხდარა, როგორც 16 იანვარს. და ამას უნდა ვუმაღლიდეთ ჩვენ დაუვიწყარ გიორგი წერეთელს. მისი გარდაცვალების ამბავმა მიაღწია თფილისის ყველა სახელოსნოში, ხალხის ყველა წრეში და მის პატივსაცემლათ გამოეშურა ყველა ტვირთ-მძიმე და მაშვრალი. და აი, გიორგის ცხედრის გარშემო შემოკრბა თფილისის მუშა და გამრჯელი ხალხი. ეს თავის მოყრა არ იყო თავის მოყრა უბრალო ბრბოსი, მოსეირეთა დროს გატარება და უსაქმურთა ხეტიალი. არა, აქ თითოეული რაღაც მიზნით იყო მოსული, თითოეული რაღაც გრძნობით იყო გამსქვალული. ეს მიზანია მოღვაწის უკანასკნელათ გამოთხოვება, ეს გრძნობაა მოღვაწის უკანასკნელათ პატივისცემა. ეს პირველი მაგალითია, რომ მოღვაწის დასაფლავებაში ქართველი ხალხი ასე გულმხურვალე და შევგებულ მონაწილეობას ღებულობს. და ეს მაგალითი წილათ ხედა გიორგი წერეთელს. ეს ახალი ნაბიჯია ხალხის მიერ წინ გადადგმული და ამ ნაბიჯის მიხეზათ შეიქნა გიორგი წერელი.

გიორგი წერეთლის საფლავზე გადმოხეთქა ახალმა ნაკადულმა, აღმოცენდა ახალი მოვლენა,

რომლის მზგავსი არც ერთ წინანდელ დასაფლავებაზე არ გვინახავს. აქ თითონ ხალხი ამეტყველდა, ალაპარაკდა და თავისი გულის ნადები, ცრემლებში შერეული გადმოაფქვია. და ეს არა მიკიბულ-მოკიბულათ, პირმოთნეთ და ფარისევლურათ, არამედ მკათიოთ, პირდაპირ და მამაცურათ. იმან საქვეყნოთ დაჰგმო ის, რაც კაიხანია დასაგმობია, იმან ხმამალა უარ ჰყო ის, რაც კაიხანია უარი საყოფელია. და მერე რა იციო? რა და ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ერთ ნაწილში გამეფებული ზნეობა, ზნეობა შენ-ჩემობის, პირადი ამოჩემების და უსაბუთოთ ლანძღვა-თრევის. ხალხმა პირველათ შეახო ხელი ამ საზიზღარ ხელობას და ის საუკუნოთ დასამარა, ხალხმა პირველათ აღახო ბაგენი თვისნი და აღახო სწორეთ ლიტერატურის გათახსირების წინააღმდეგ. მან მოითხოვა გაადამიანება იმათგან, ვინც სხვებს უნდა აადამიანებდეს, მან მოითხოვა მოქალაქეობა იმათგან, ვინც სხვას უნდა აქალაქებდეს, მან შეარცხინა ის, ვინც სხვებს უნდა არცხვენდეს. ხალხი ამალდა, მწვერვალზე მოექცა და იქიდან სახარებას უკითხავს ჩვენ ინტელიგენციას. რა დიადი სანახაობა! რა მჭერმეტყველი მოვლენაა! ამას შემდეგ ვის შეუძლია ცილი დასწამოს ხალხს, ის ყრუ და დაცემულიაო! ამას შემდეგ ვის შეუძლია თქვას, რომ ქართველ ხალხს მომავალი არა აქვსო! არა, ხალხი გაგონიერებულია, გამოფხიზლებულია კაი ხანია და თუ ამას ვერ ამჩნევენ — ეს დაბრმავების ბრალია და მეტი არაფერი. 16 იანვარს კი ეს გამოფხიზლება ალაღადა, გაიელვა და ბურუსში გახვეული შუქი გამოანათა. ეს ახალი სხივი მოხვდა გიორგი წერეთლის ცხედარს, სწორეთ იმ ცხედარს, რომლის ცოცხალი გრძობა-გონება მუდამ ამ სხივს ჰქადაგებდა, და იქიდან გამოკრთა ყოველ მხრივ, ამ ჩვენ ბნელით მოცულ ცხოვრებაში. გვამმა უსულომ, უსიცოცხლომ დაგვანახვა სიცოცხლე და მღელვარება. ცივი სამარე ცივი ნეშთისა შეიქნა მაჩვენებლათ ჩვენი წინსვლის და აღორძინებისა.

მე მხოლოთ ორი დასაფლავება ვიცი, რომელიც შეიქნა დასაწყისი ახალი ხანისა. პირველი — ეს ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაა, რომელსაც დაესწრო განსვენებული გიორგი და იქ თავმოყრილ ახალგაზღობაზე მიათითა: აი ახალი რაზმი და... ახალი ღროშაო. განვლო ხანი, რაზმი მუშაობდა... და აი, დღეს დავასაფლავეთ თვით გიორგი და მის კუბოსთან შემოკრბა არა მარტო ახალი რაზმი ახალგაზღობისა, არამედ ახალი ხალხიც მთელი ერისა. იქ თავის თავი გვამცნო ახალგაზღობამ, აქ თავის თავი გვამცნო ახალი ხალხმა. ორივე ერთათ

აქ მოიყარნენ და გამოეთხოვენ ძვირფას ცხედარს. იმ იმედით, რომ შემდეგ შიშც ერთათ ივლიან და გზას ცხოვრებისას ერთათ გაკაფვენ...

ბ. ჟორდანია.

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე

გიორგი წერეთლის საფლავზე წარმოთქვა სიტყვა 16 კაცმა: 1, აკაკიმ, 2, ქალანთარმა — სომხური გაზ. „მშაკის“ რედაქტორმა, 3, გრ. ვოლსკიმ ბათომის საზოგადოების წარმომადგენელმა, 4, ფირცხალავამ — ქუთაისის ახალგაზღობის წარმომადგენელმა, კარლო ჩხეიძემ — ბათომის მუშების წარმომადგენელმა, 6, პ. უმიკაშვილმა, 7, ვ. ყიფიანმა — სად. განჯის ქართველობის სახელით, 8, ივანაშვილმა (ლექსი) 9, კ. ცინცაძემ (ია ეკალაძე); 10, იაშვილმა (ლექსი); 11, კ. ყიფიანმა — ქართ. დრამატ. საზ. და დასის წარმომადგენელმა, 12, ა. ლულაძემ წაიკითხა ლექსი განდელიისა; 13, ნოზრევან მერკვილაძემ (ლექსი); 14, იმერიძემ წაიკითხა ლექსი შიო მღვიმელისა, 15, ვ. კერვალიძემ — თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენელმა და 16, ლელაშვილმა — ენფიანციის ფაბრიკის მუშამ (ლექსი).

ჩვენ აქ მოვიყვანთ სიტყვებს იმ რიგათ, როგორც წარმოთქმული იყო და აქ არის ანუსხული.*)

ს ი ტ ყ ვ ა აკაკისა.

ძვირფასო, ამხანაგო, თან შეხდილო და თანვე შებურეულო გიორგი! ამ ნახევარ საუკუნის დანმავლობაში შე და შენი ნაცნობობის კავშირი არ გაწყვეტილა და იმ თავიდან ამ ბოლომდე ერთმანეთთან საუბარი არ დაგუდევა. მაგრამ ჩანს, რომ ჯერ კიდევ არ მოგვერტებია. რომ ახლაც კიდევ კუბოს კარებთან, მინდა გულ-ხელ დაკრეფილსაც გამოგელაზარაკა! რომ გხედავ სამარის ზირათ მისვენებულს, გული მიდონდება, თვალებზე ცრემლი მამდგამია და ტირილს კი ვერ გიბედავ და ვერ გიბედავ იმიტომ, რომ შენისთანა განსვენებულს ტირილი არ შეშენისთ ეგელასათვის აუცილებელ სიკვდილსაც აქვს თავისი შესაფერი სიტკბაილ-სიმწარე! — „სიკვდილი მართლთა განსვენებაა“ — ბძანებს საღმრთო წერილი და ეს ჭეშმარიტება სწორეთ შენისთანაგზა გა-

*) არ გვინდოდა დაგვებუქა ის სიტყვები, რომელთაც პოლემიკური ხასიათი აქვს, მაგრამ რაკი „ივერიამ“ ისინი უკვე აღნიშნა და კიდევაც შეეხო — ამიტომ ჩვენც სრულად ვბუქდავთ. ხოლო ცინცაძის სიტყვა ამ ნომერში არ გამოდის. ხელთ არ გვაქვს სამწუხაროთ, გრ. ვოლსკის სიტყვის ტექსტი და მხოლოთ შინაარსს ვათავსებთ, ხელთ არ გვაქვს აგრეთვე ზოგი ლექსი პ. უმიკაშვილის სიტყვა კი „ივერია“-ში დაიბეჭდა.

მეტი: მთელი შენი სიცოცხლე ტანჯულ-შრომით გა-
 ტარე საზოგადო სამსახურში მოუსვენრათ და ახლა მხო-
 ლათ გელირს განსვენებას. უკანასკნელ წამს შენი ცხოვ-
 რებისას, უკვლეო, ცოტაც არი გიტეობდა ის სამარ-
 თლიანი შეგნება, რომ შენი ქვეყნის ვალი მხნდილი
 გქონდა, ზინათლათ შეგეძლო წადგომა, ღირს წინაბრუ-
 თას და აქაც შენ სამაგიეროთ ტოპედი შეიღებს სწორ-
 გზაზე დაეწებულეს და ახდენათაც უკლები შენს მა-
 გალითს, თუ როგორი უნდა იყონ საზოგადო მოღვაწე-
 ბი. აი ამიტომ ვუღარ გიბედავ ტირილს და ადარე შენ
 ცოლშვილს ვუგუნები სამიმას! მიგუსამიძიებუ შენ და-
 კარგვას მხოლოთ საზოგადოებას, რომელმაც შენი სიკვ-
 დლით ბევრი დაჭკარკა!.. დიან, განსვენებუდი, ერთი
 უკეთეს მოღვაწეთაგანი იყო ამ ჩვენ დროში. შოვა დრო
 რადესაც საზოგადო მოღვაწეებს საკუთარი შეგნებით და
 არა სხვების ხმის აყოლით დაფასებენ, და მაშინ გიორ-
 გის ნაწიერების სიდიდე და სიკეთე გააკვირვებს ყველას.
 მაგრამ მარტო ნაწიერებით ჩვენი შესამოცე წლების მო-
 ღვაწეთა დაფასება, დიდი შეცდომა და უსამართლობა იქ-
 ნება! შვერლობა მათთვის მხოლოთ ერთი სხვათა შორი-
 სი იარადი იყო ქვეყნის სასამსახუროთ ადებუდი!—ისინი
 ყოველგან და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებ-
 დენ, იყვენ დიურ მუშებთ ჩამდგარი და შავი სამუშაო
 რამეც არ ეთავილებოდათ. — ერთი მათგანი იყო განსვენე-
 ბული გიორგიც, მაგრამ ამ ღირსებას დღეს ზოგიერთები
 ცოდვით სდებენ და დაცნიან: „ყოველივერს ეპოტინე-
 ბოდა“, ცდებიან. თუ კი დღესაც კიდევ აქა იქ გაის-
 მის საზივარი, რომ სამკალი ბევრი გვაქვს და მუშები
 ცოტა გვაგონო, რა უნდა ყოფილიყო ამ ორმოცი წლის
 წინეთ, რადესაც არაფერი არ ყოფილა მოწეული, სამკა-
 ლი არსად ჩხდა, და ზირველ სამუშაო ხენა-თესვისათვის
 უნდა გადადგომულიყო ზირველი ნაბიჯი? შესამოცე წლის
 წრე ძალიან ზატარა იყო, ისე კაცმრავალი არ ყოფილა
 როგორ დღეს; მაშინდელი ერთის საქნარი, სამუშაო,
 დღეს ასათაც კი შეიძლება განაწილდეს. ნუ დავივიწყებთ
 ნურც იმას, რომ იმ მაშინდელ მცირე გუნდიდანაც ბევრ-
 მა გადაუხვია და სულ სხვა გზას დაადგა, უდროვოთ
 რომ გული გაუტყდა. მაგრამ გაფანტეობისგან გიორ-
 გის კი იმ თავიდან ამ ბოლომდე, დედაბოძი თავისის
 მცნებისა არ შერყეოა. — შეიძლება რომ საზოგადოებისა-
 დმი მისწრაფების დროს ოდესმე გზას გადაცდებოდეს
 შეცდომით, ფეხი წამოკრას და წაეთერხილებიოს, ეს
 მის ზირდაზირბას ვერ დაწინდიავს, რადგანაც, ვიმე-
 რებ, თუ კი მართლაც ოდესმე გზას გადაცდომია, ეს
 გადაცდენაც წმინდა განზრახვისა და სურვილების, გამო-
 ყოფილა გამოწვეული და არა საზივარად რამ გამოანგა-
 რიშებით. ამისთანა კაცებს განუებუდი, კერძო, მხოლოთ
 საზივარად არა აქვთარ, ყოველ კვარ მათ კერძოცაც
 საჩუქლათ იგივე საზოგადო უძევს; ცოლშვილს მიტომ
 ეკიდებიან, რომ ქვეყანას თავის სამაგიერო მოღვაწეები
 გაუხარდონ, შექნას მიტომ ნატრობენ, რომ ქვეყა-

ნასვე გამოადგენ და უფრო ხელშეუშლელათ ემსახურებოდნენ
 გაუჭირვებლათ! ამას ბობო ვერა ხელავს და ცოდვით
 უთვლის მათ იმას, რაც მადლისაგან გამოწვეულია...
 საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ამ ჩვენ დაწინებულსა
 და დანარულ საუკუნეში სხვათა შორის ერთი სენიც შე-
 მოკვეზარა: ჩვენ ნამდვილ მოღვაწეებს ჯობში ვუდგავართ,
 სწორი გზით მიმავალს ჩვენვე წინ ვუდებოთ, ფეხ
 ქვეშ ქვა და ღაღს ვუგორებთ და, თუ იმათაც უნებურათ
 ფეხი წამოჭკრეს, ჩვენ მსაკვერულ სინარულს საზღვარი
 არა აქვს; ყოველგვარ ღირსებას ვაქაწველებთ და ქვეყანას
 ვუთითებთ, რომ აი ფეხი წამოჭკრა. — ამ ფარისეველე-
 ბის საზისუხოთ ერთი რამ მაგონდება, თვით განსვენე-
 ბული გიორგის თავ-გადასავლიდან: ერთ კვირას დღეს, გი-
 ორგი წერეთელი თავის ამხანაგებით ერთათ თავმოყრილი
 თამაშობდენ მამა მაგისის დიდ ეზოში, დაჭკრეს წირვის
 ზარები და ზატარა გიორგი გაეშურა ეკლესიისაკენ. გზაში
 ფეხი წამოჭკრა ქვას და დაეცა, მაგრამ უკანვე არ დაბ-
 რუნებულა, წამოდგა ზეზე, გაიბურტო ტანისამოსი და
 წაფიდა მანც საუღარზე. ნაწიერვეს, რომ დაბრუნდა, ამ-
 ხანაგებმა სიცილი დააფარეს, რათ წაიქეციო!... მაშინ გა-
 მოკესარხლას შეიღეს, გიორგის მამა, ეჭვითმე წერეთელი
 და უთხრა სხვებს, „თქვე უგნურებო, რადესაც ჩემი გი-
 ორგი კარგის გრძობით გატაცებული წირვაზე მიეშუ-
 რებოდა, თქვენ მაშინ აქ თამაშობდით და ნუ თუ მისი
 წაქეცა, ისევე წამოდგომა და კეთილი განზრახვის ასრუ-
 ლება უფრო მისაწინა არ არის, ვიდრე თქვენი აქ დარ-
 ჩენა, უბრალო ბურჯალი და სახედრის განხინდრიკ-გამო-
 ხინდრიკება!“ განსვენებულ გიორგისაც შეეძლო, ამავე
 სიტუვებით ემსახურა ზოგიერთებისათვის!.. შეტს ადარს
 ვიტყვით — საუკუნოთ იყოს ხსენება შენი საუვარელო, ძმაო
 და შეგობარა!.

სიტყვა „მშაის“ რედაქციის წარმომადგენელის ა. კალან-
 ტარის

მე მოვედი აქ სომხური კაზეთ „მშაის“ რედაქ-
 ციიდან, რომ გამოფუნცხდა დრმა ზატვისიცმა განსვენე-
 ბული გიორგი წერეთლის ხსოვნას მისი თვალსაჩინო ღი-
 ტრატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.
 ამ მოღვაწეობის მრავალ მოვლინებათა შორის მე ადგნი-
 შნავ მხოლოთ სამ დიდ მნიშვნელოვან მომენტს, რომ-
 ლებიც განსვენებულის მოღვაწეობის დამახასიათებელ თვი-
 სებებს შეადგენდენ-აი ეს მომენტები: გიორგის ქქონდა
 აღფრთოვანებული რწმენა ზოგორსიულ იდეებისადმი,
 რწმენა ახალ თაობისადმი, და მას მტკიცეთ რწმენა, რომ
 საჭირო იყო კავკასიის ყველა ეროვნების თანხმობით მო-
 ქმედება, მათ რიცხვში სომხებისა და ქართვლებისაც,
 მცნავრებთა კულტურულათ დაწინაურებისათვის. განსვენ-
 ებულის ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ეს თვი-
 სებები უცვლელათ დარჩენ მის არსებაში. უმაწვილობისას
 ის აღფრთოვანებული იყო შესამოცე წლების იდელებით;

უკანასკნელ დღემდის მათვის არ უდალათ; მას რწამდა ახალთაობის უზომო გულ წრფელობა და ერთგულება, და ეს რწმენა ახალთაობისადმი მან ბოლომდის უცვლელად შეინახა, ახალთაობამაც შეიყვარა ის და მიეკედლა მას, რადგანაც მასში ჭეშმარიტ და ერთგულ მეგობარს ხედავდა. მის შესამე თვისებას, ერთგულებათა თანხმობითი მუშაობის საჭიროებაში ღრმად რწმენას, შეიძლება სხვაგან მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი კუთხისათვის მას დიდი და განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ძვირათ ხანავთ სხვაგან ისეთ კუთხეს, სადაც ასე შეგვიუფლი იყოს სხვა და სხვა ერთგულება და მოდგმა.

ჩვენ უკვლას დიდი საქმეკვიდევის წინ განსახორციელებლათ. განათლებული ქვეყანა უკვე რამდენიმე საუკუნეა თავისი ათასი და მილიონი მოღვაწეების შეუხრებელი შრომით ცდილობს, მატერიალური კეთილდღეობა მოუხვეჭოს და განებრავთ წინ წასწიოს თავისი ხალხი. მიუხედავად ამისა იქ ხალხი ჯერ ისევ ღარიბია და გაუნათლებელი. ჩვენი მხარე, რომლის მცხოვრებნიც უარეს მდგომარეობაში არიან და რომელიც მოკლებული იყო მოღვაწეებს განებრავს და ტენიკურ სიფრთხილად, ამგვარსავე კეთილგონებებს თვალ წინ გადასწავლათ. განათლებულ ქვეყნიერობას ჩამოხრჩენილი განა მივადწევთ რასმე განცალკევებული ძალბით? განა ჩვენ უნდა უარყოფდეთ ერთი მეორის დახმარებას, როდესაც ხალხის სიღარიბე და გაუნათლებლობა შეერთებული ინტელიგენტური ძალის დაუდალავსა და თავგამოდებულ მუშაობას თხოვლობს? არა, საჭიროა უკვე ერთგულება, რომლებსაც კი ანტერესებს ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარება, ხელი ხელს მისცენ საზოგადო და ხყოფიერი შრომისათვის. განსვენებული გ. წერეთლის სასახელოთ უნდა ვთქვათ, რომ ის დიდხანსა გრძობდა ამ საჭიროებას და უფლებათვის გვაგებდა და გვითითებდა მასზე. მან ჩაწერა თავისი თავი იმ ზირთა საზატიო რიცხვში, რომლებიც სხვა და სხვა ერთგულებათა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებას ცდილობენ და მათ თანხმობითი მუშაობისაკენ იწვევენ. დეე სიყვარულისა და სიკეთის ამ მოწოდებამ აწინ აღაფრთოვანოს ახალთაობა და ხყოფიერ მოღვაწეობას ნიადაგი მოუმზადოს. საუკუნო იყოს ეს ხსოვნა.

სიტყვა გრ, ვოლსკისა.

გრ. კოლსკიმ დაახლოებით თქვა შემდეგი: შენ ძვირფასო მოღვაწე იუაგი მთელი ჩვენი სამშობლო ქვეყნისა, შენი ღვაწლი სხვა და სხვა ახმარებზე აურაცხელი და მრავალ მნიშვნელოვანია. მაგრამ ეკლასზე უფრო დიდი სიკეთე და ღვაწლი მიგიძღვის ჩვენი სამშობლოს იმ მხარეში, საიდანაც შე ვარ წარმოგზავნილი. შენ იუაგი კოდუმში დასაქლეთ საქართველოსა. როგორც შეწყნარდა რუსს-ოსმალის უკანასკნელი ომიანობა. 1877 და 78 წ. წ. შენ მაშინვე იქ გახნდი და გრიგოლ გურიელთან და გიორგი ეახუბუთან ერთათ რუსეთისაკან ახლათ დაწეროილ ჩვენგან დიდი ხნით ჩამოშორებულ თანამოძმეებს, აჭარა-ქაზულეთლებს, დაურე, დაამშვიდე და გუ-

ლით შემოგვიერთე ჩვენ, მათ თანამოძმეს. ჯერ მართლაც ამ ღვაწლისათვის არ დაგვიწიებს შთამბეჭ...

სიტყვა ფირცხალავასი.


იყო დამე, დამის წყევლი, სდუმდა ყოველი აქ არე-მარე, არსაიდან ხმა, არსით ძახილი, კიდით კიდემდე იღვას სიხუმე შესახარი და სისინელი. იქ, სადაც ღუღდა სიცოცხლე და მეფობდა სიამაცე, თავის დადება საერთო საქმისთვის აწ აღარ სცემდა მჯა, შეწედა გულის ცემა, არა რა მოძრაობდა, სდუმდა ყოველი.

და იყო ეს ერის ძილი, მხოლოდ თუ საუკუნო მისი სიკვდილი? *ხედავთ...*

განვლო წყევლა... ერს დაეტოვო სიცოცხლის ნიშანი. თითქო გონს მოვიდა, მიხედ-მოხედა, და სისინელათ გაოცდა, გაუგებდა თავის ბედი, შეინძრა. ზე წამოდგამა მონდობა... მაგრამ სუსტი იყო იგი ძლიერ, მეტათ ბნელად გარშემო. და მისი მისწრაფება მცირეოდენი ნაზერწკალი იყო მხოლოდ, რომელმაც ერთი განხათა, უფრო დაახსნავს ერს მისი ბედობა და მალე ჩაქრას ისევ.

იყო კვლავ დამე, წყევლი დამის, მაგრამ არ სდუმდა აწ ყოველივე აქ არე-მარე.

რაკი ერთხელ ამოდგადა სიცოცხლე, დაიწყო ზრდა, ვისაც ესმოდა ერის ბედი, დასდეს ფარ-ხმელი, აღიარეს ბრძოლის ამაყება, ხელში აიღეს კალამი და მიეცნენ მწერლობას, დაემყარენ მწიგნობრობას, — წერდენ, თარგმნიდენ წიგნებს, იკვლევდენ წარსულს. დაიბადა საზოგადოებრივობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, საზოგადო საქმეებზე სჯა-ბასი, ხელთნაწერების ერთმანეთში გავრცელება, გამჩნდენ ნიჭიერი ზოეტები, შეიქნა ხელფრენება, სამწერლო ახმარება, — ეს ერთად ერთი საზოგადო მოღვაწეობის ახმარება მასინ. ერთი და მოტოვი ჰქონდათ საუურადღებო მკაცრებს; სამშობლოს სიყვარული; ეს ასეც უნდა ყოფილიყო მაშინდელ ზირთებში — ცოცხლ-მკვდარ ადამიანს ჯერ თვითმეგნება ესაჭიროება, — სამშობლოს სიყვარული, მაგრამ ძლიერ ცოტა ადგილი ექირა ამ მოტოვს იმ დროის ზოეზაში. იგი აქა-იქ იყო მხოლოდ გაფანტული უმნიშვნელო შირ-ლექსებში და თანაც რაღაც მერთადი და უიმედო იყო ეს სიყვარული ერისადმი. უუვარდათ წარსული, მას შეამკობდენ, აწმოდს და მომავლისაკენ კი არ გაიურებოდენ, თითქო მთლათ იმედ დაკარგული იუვენ თავის ერის ბედის. ეს იყო დრო ნ. ბარათაშვილის სულის ობლობის, მარტობის, სასაწარმოკეთილ სამშობლოსაკან შორ გაქცევის სურვილისა და გრ. ობოლიანის ზირვანდელი სუსტის და ხელფრენათ (ძალ დატანებით) დაწერილი ერთგული მოტივებისა... თუმცა დაარსდა ქართული თეატრი, და ამან სხვა ფერი მისცა ერის ცხოვრებას; მეტი სიცოცხლე, მეტი იმედოვნება, მხოლოდ



თქატრის არსებობა მსჯე შეწდა, თათქა მის დამარ-
სებულსაც კი დაეკარგა მისი იმედი, — და ძნელათ თუ
ვინმე მოიხივებოდა, ვისაც ქვეყნისათვის გული შეტკი-
ოდა, რომ ერის ყოფნის და არ ყოფნის ეჭვებით
გული მოწამლული არ ჰქონოდა.

მონობა გარეგანი, მონობა შიგნით სულიერი და
მატკრიალური, სიღარიბე და სიღატაკე ემების, ქეიფი,
ღვინი, ზირუტეეული დროს გატარება ბატონების... იყო
დამე, მაგრამ მოხსლავებული იყო განთიადიც.

დადგა მესამეც წლები. და აი ერთიან შეინჯვას
ჩვენი ცხოვრება; იყო სიცოცხლე გაუბედავი, უიმედო,
დადგა გამორკვეული, იმედანნი. გაგვინათლდა დღე; გა-
დაწდა საეჭვო კითხვები, გაიზარდა მწერლობა, წელში
გამართა ერთი და იმედ მოცუელი მტკიცეთ შეუდგა წინ-
მსვლელობას. დამისხვრა უმრავლესობის ემობის ბოკი-
ლი, და ცოდნის ნათელი, ამდენხანს ზოგოერთთა ხვედ-
რი, აწ შეიქნა ეველსათვის მისაწდომი. განუმორდით
საუკუნოთ სიბნელეს, აზიურ ანატას, უსიცოცხლესს,
უიმედობას, თვითარსებობა ერთგული შეიქნა მწერლობის
დედა კითხვით, გამოირკვა, შეიქნა ცხოვრების მიზნათ
და სამშობლეს სიყვარული აწ არ არის წინანდურათ მართა-
ლი, არამედ ნიადგინი, მტკიცე, ძლიერი; მხოლოთ
ახლა შესაძლებელი იყო ისეთი იმედმოცული და შეუ-
ზოვარი ლექსის დაწერა: „არ გავცვლი საღას კლდეებსა
უკვდავების ხეხედა, არ გავცვლი მე ჩემ სამშობლეს
სხვა ქვეყნის სამოთხეხედა“.

თუმცა წინა ხანებშიც მზადდებოდა ჩვენი ახალი
ცხოვრება, მაგრამ მხოლოთ მესამეც წლებში გადადგეს
შესამხნევი ფენი ზოგონისაკენ. მათ განამტკიცეს ჩვენ-
ში სამშობლეს სიყვარული, მოუზოვეს ნიადგი ერის არ-
სებობას, შეგვიჩვენეს ურთაღვრეთობა, დაბადეს შედარე-
ბით მდიდარი ორიგინალური და ნათარგმნი მწერლობა,
მტკიცე ნიადგზე დავეყენეს თქატრი, გამოაჩინეს დიდი
ნიჭის მისხიობნი, გაავრცელეს ასე თუ ისე სწავლა-გან-
თლება ხალხში, — და თუ ეს ეველს ერის კულტურული
ცხოვრების მომასწავლებლია, ერთი ყოველთვის დიდი ზა-
ტივისცემით ჭსიყვარულით უნდა იხსენიებდეს ამ დროის
მოღვაწეებს, რომელთა რიცხვში უეტველია იღ. ჭავჭავა-
ძასქთან, ა. წერეთელთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთათ
ზირველი ადგილი უნდა დაუთმობთ აწ განსვენებულ გ.
წერეთელსაც.

მრავალ ფერფანნი იყო განსვენებულის საზოგადო
მოღვაწეობა და უადგილოა აქ შევენოთ მას. როგორც
რომანისტი, მეტათ დაკვირვებული მხატვარი იყო, მისი
სურათები ცხადთ უხატავენ ადამიანს ბუნებას და ამ
მხრით მას ტოლი არა ჰქვავს ჩვენ მწერლობაში
მისი იუმორი ძლიერ მჭრელი და გულში ჩამხედველია;
მის მიერ გამოყვანილი ტიპები — კუდაბზიკა, კიკოლიკა,
ასმათ, ბახვა, იერემია და სხ. ცხოვრების გულიდან არიან
ამოღებული; მისი მოთხრობები ცხოვრების საჩვენა და

თამაშათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი წერეთელი
ზირველი და საუკეთესო რეალისტი იყო ჩვენში.
როგორც ურთაღვრეთი — ერთათ ერთი მაკალითა
ჩვენში, რომელსაც სამწერლო ასპარეზზე გამოხვლიდან
სიკვდილამდე არ გაუკდია კალამი ხელიდან. რა კითხვა
იყო, რომ არ შესებოდა იგი, და არ გაეცნო მკითხვე-
ლებისათვის. მოწადინებული იყო ყოველთვის შეცნოერუ-
ლი ცოდნა გავერცელებია ხალხში, და შეეძლო კიდევ
ზომულიარულათ დაეწერა, ეველსათვის გასაკებათ. თვალ
ურს ადევნებდა ახალ შეხედულებას, ცოდნას და წინ
ეგებებოდა მათ.

სამშობლეს სიყვარულით აღსავსე განსვენებული
გულ მხურვალეთ ეკიდებოდა ყოველივე ჩვენ საზოგადო
საქმეს და არა ერთ ალაგას; იგი ხშირათ მიდიოდა ერთი
ადგილიდან მეორე ადგილს, ყოველგან იბრძოდა, ევე-
ლგან ცდილობდა, რომ ჩვენი ცხოვრება წინ წასულიყო.

ორ კითხვას უფრო აქცევდა ურთადლებას განსვენე-
ბული ამ ბოლო წლებში. ეს ორი კითხვა იქნება ჩვენ,
ახლავადობისათვის, მისგან დატოკებული ანდრობი. ზირვე-
ლი — ეკონომიური-სოციალური კითხვა, რომელსაც მე-
სამეცე წლებში ნაკლებათ აქცევდენ ურთადლებას. იგი
ემსწვილური ხალისით მიეკება ახალი კათსვის წამოყე-
ნებას ჩვენში და სხვებთან ერთათ ავრცელებდა იმ შეხე-
დულებას, რომ ერთგული თვით არსებობის გარდა სამ-
შობლეს საკეთილდღეოთ აუცილებელი საჭიროა ეკონო-
მიური განვითარება და შრომის ნყოფის სამართლიანი
განაწილება. რამდენიმე ახლავადებთან ერთათ მთელი
მისი სიღიადით წამოაყენა ის კითხვა, რომ მრეწველო-
ბის განვითარება ერის გამდიდრებას, მისი გამდიდრება
კი — მისი ცხოვრების გაფართოება, გადადება, ამაღლებაა.
ჩვენი მრეწველურათ განვითარება იქნება არა მარტო ჩვენი
მატკრიალურათ გამაგრება, არამედ გონებრივათაც, ეროფ-
ნულათაც და საზოგადოთ კულტურულათ აღორძინება.

მეორე კითხვა ეს ჩვენი და სომხების ურთიერთო-
ბაა. განსვენებული ზირველი იყო ჩვენ მწერლობაში, რო-
მელიც მუდამ სომხობასთან კავშირს ჰქადაგებდა, არა მა-
რტო მწერლობაში, სიტყვიერათაც, რის გამო ბევრი
უსიამოვნება და საუკედური შეხვდა მას. მისი აზრი მო-
მავალს ეკუთვნის და შეიძლება არც ისე შორეულს მომა-
ვალს. ვინც რა უნდა თქვას, მხოლოთ ჩვენი სრული
რწმენაა, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ და სომხების შორის
განხეთქილება უნდა მოიხიბეს. ეს რასაკვირველია იმას
კი არ ნიშნავს, ვისმე ჩვენი კანონიერი უფლებები დაუ-
თმობთ.

ძვირფასო გიორგი, ორმოცი წელიწადი, მთელი
შენი საზოგადოებრივი ცხოვრების მთლათ შე-
წირე და მხანდომე ჩვენ ხალხს. იგი გიყარდა შენ
სავსე გულთ, დაუღალავათ შრომობდი მისთვის, მის
კეთილდღეობას ესწრაფებოდი, მახედ ოცნებობდი, იგი
გასსოვდა ყველგან. შედგრათ იბრძოდი და მარჯვეთ ხე-

ღისხელ ერთად შენ ამხსნაგებთან გზას გვიკვლევდი უკეთეს მომავალსაკენ, რომელიც გწამდა შეურყეველად...

და არის დღე, დღისა ნათელი. აწ არსად არის აქ მღვმარება. ისმის ხმა, ხმა სიტყვებისა, შრომისა, იმედისა...

სიტყვა კარლო ჩხეიძისა

„ნეტარათ სახსენებელ გიორგი ექვთიმეს ძველ თქვენ ნაყოფიერ ცხოვრებაში რი თერიად ღირს-შესანიშნავი ხანა იყო. თქვენ ორჯერ იყავით მოწმე ჩვენს ცხოვრებაში ძველი და ახალი წრის შეტაკებისა, ძველი და ახალი თაობის ერთი-მეორის წინააღმდეგ გამოლაშქრებისა: ზიზღულათ შესამოცე წლებში, როცა ბატონ-უმობის დროის შვილთ შეებრძოლა ის დასი ახალგაზდობისა, რომელმაც დაჭკობა ბატონ-უმობაზე აკებული ცხოვრება და მით წაუშლელი კვალი აღბეჭდა ქართველი ერის თვითცნობიერების ისტორიაში. იმ ახალგაზდათ შორის, უმეტესად, თქვენ სახატო ადგილი გეჭირათ. მას შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა ჩვენ ცხოვრებაში და სხვათა შორის ერთი შეტათ სამწუხარო, თუმცა არა მოულოდნელი ცვლილება; დიდი უმეტესობა შესამოცე წლების სახატო მებრძოლთა ბოლო დროს დაადგა სწორეთ უარის ეფთის გზას. მათთვის მცირეთაც კი შეუძლებელი შეიქნა შეგუება და შეთვისება იმისა, რაც მათ მცნებაში ერთხელ და სამუდამოთ არ იყო აღბეჭდილი. ამ გვარათ მათ მიერ დაიწყოებული დარჩა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ცხოვრება ცვალებადია და ვისაც სურს ცხოვრებასთან ერთად წინ მიდიოდეს, მან ცხოვრების ცვლილებისა კვლავ უნდა შეცვალოს თავისი მცნება და მიმართულება, თავისი ტერეტიული და პრაქტიკული პრინციპა. უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ არ გქონდათ დაიწყოებული ეს ჭეშმარიტება, როცა თანაგრძობა გამოიჩინეთ იმ ახალ გაზრდობისადმი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში კრიტიკული თვალთ შეხედა მას, რასაც ჩვენი მწერლები და მეთაურნი ჩანდახედენ ქართველ საზოგადოებას, როგორც ანბანურ ჭეშმარიტებას. სწორეთ იმ დროს, როდესაც ზოგნი მზათ იყვენ სამარცხვინო ბოძე გაკრათ ეს ნაწილი ახალგაზდობისა, ზოგნი ცდილობდენ დაემტკიცებინათ არა-რანობა ამ ახალგაზდობისა ამაყი და შედიდური სიხუმით, ზოგნი, სიძულვილით ადვინდნი, აქ ფარულათ, იქ ცხადათ, საქმით თუ სიტყვით, ვინ იცის რას ჩადიდდენ მის წინააღმდეგ. სწორეთ ამ დროს შენ თანაგრძობით მიეგებე იმავე ახალგაზდობას და გამოიჩინე ხადისი და სურვილი შეძლებისამებრ მისი დახმარებისა. ვინც რა უნდა იფიქროს, ვისაც როგორ სურს იმეჭმედს, ხოლო ის ნაწილი ქ. ბათუმის ქართველი ხადისისა, რომლის მაგივრათ მე თქვენი დადუმებული გვამის წინაშე ვლანარაკობ, ღმრთა არის დარწმუნებული, რომ მომავალი ეკუთვნის იმ მოძრაობას, რომლის მონაწილეთა დროშაზე წარწერილი აქვთ: „უმრავლესობა და მისი ბედნიერება“. ვაი

მას, ვინც რჩება გარეშე ამ მოძრაობისა, რადგან იგი მოკეთილი იქნება ცხოვრების ნიადაგისგან, როგორც უნაყოფო ხე; შესანიშნავი ბაღისი. შენ კი; რამდენათაც თანამგრძობელი გახდი ამ მოძრაობისა, იმდენათ შესძინე კიდევ ერთი საგანძური შენი წარსული მრავალმნიშვნელოვანი მოღვაწეობის საღაროს მიიღე ჩვენგან ამ თანაგრძობისათვის გულწრფელი მადლობა და განიხივენე სამუდამოთ იმ იმედით, რომ შენი ესეთი თანაგრძობა უნაყოფოთ არ ჩაივლის.

სიტყვა ვარდენ ყიფიანისა

პატიოსანო, დაუღალავო და უანგარო მოღვაწე გიორგი!


მე საჭიროთ არ ვრაცხ რომ შენი ბიოგრაფია, ანუ მოღვაწეობა ვრცლათ განუქმარტო აქ მეფოთ. შენ შესახებ უკვე ბევრი წარმოთქვა და კიდევ ბევრი წარმოთქმება. მთელი ქართველობა, რომელსაც კი ერთხელ მაინც შენი სახელი გაუგონია, ერთი ერთმანეთს ეკითხებთან. „ეს რა თავზარ დასაცემი შენი დაგვეცა თავზეო“, დას, შენ რომ დიდი დასაკლისი ხარ ჩვენი ხადხისთვის ამას ეველა მიმხვდარია ვისაც ანბანი ჭეჭეჭემდის წაუკითხავს; ვინცით რომ სამწუხარო კამბალით თავს გვადექი ფნიზდათ, შეგჭირდათ ჩვენი ავი და კარვი და ახლა კი ასეთს შეუდარებელ მწუხმს და ხადხის გულ შემატკიავარს გულხელ დაკრეფილს დაკუურებთ თავზე. მაგრამ ნეტარება შენ რომ დაუფიწვარს გეფთს შენი კეთილი ნამეჭმედარო სამარეში მდებარესაც; ნეტა ახლა აგასედა და დაგანახვა, როგორ თვალ ცრემლიანი დაკდემიან თავზე სხვა და სხვა კუთხიდან მოსული ხადხი, რაცა დაგარწმუნებს და დაკამშვიდებს იმაში რომ უნაყოფოთ არ ჩაუვლია შენ ნადვარს. და თუ შენ სიტყვლებში ხადხისთვის ზრუნავდი, ახლა ჩვენ, ხადხიც, მოვალენი ვართ აწი შენთვის ვიზრუნოთ.

მეც ერთ ერთ ამათ გუნდ-თაგანს ვეკუთვნი და ვარ მოგზავნილი სხვათა შორის განჯაში მცხოვრებ ქართველებისაგან, რომლებმაც გადასწავიტეს შეემოთ შენი დაუფიწვარი გვამი გვირგვინით და მით გამოეცხადებათ მათი უსამზდრო მწუხარება ჭირისუფლების წინაშე.

ავასრულე რა მოვალეობა ესე მათის მონდობილობით, ახლა ნება მაქვს მათ მაგიერათაც გამოგემშვიდობო საუკუნოთ, საუკუნოთაც დარჩება შენი სახელის ხსოვნა ჩვენს გულში, ეველასაგან დაუფიწვარო და სახატო მამულის შვილო უძვირფასესო გიორგი!

სიტყვა კ. ყიფიანისა.

არი კვირა არ გასულა მას აქეთ რაც ქართველმა საზოგადოებამ იდღესასწაულა ქართული თეატრის 50 წლის არსებობა და მადლობითა და სასიკებით მოიგონა ეველა ის მოღვაწენი, რომელთაც ვატყებული შრომით და სიყვარულით დაამკვიდრეს ქართული თეატრის საქმე,



ის საქმე. რომელსაც ჩვენი ერის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და აი ამ სასიქადულო მოღვაწეთა შორის შეხს გიორგი, სანატია და თეატლსახინო ადგილი გეჭინა მიუხედავად მრავალფეროვან მოღვაწეობის შენ, ძვირფასო და დაუფიქრო გიორგი, ეკუთვლის ქობულთბდი დროს იმისთვის, რომ ქართული თეატრისთვის შენი შენი შესაფერი შრომა და ღვაწლი მოგეზდო და დიდის მზრუნველობით გეცქირნა ამ შენთვის ძვირფასი საქმისათვის.

მიიღე უკანასკნელი საღამო მადლობის ქართული დრამატული საზოგადოების, ქართული დრამატ. დასისა და კერძოთ, ჩემი ძმური საღამო, შენი მადლიერი მოწაფისა. საუკუნოთ იუვეს ხსენება შენი ნატიასნო და უანგარო მოღვაწე.

ლექსი, განდევნილისა

წაკითხული ანდ. დ უ ლ ა ძ ი ს-მ ი ე რ .

ღიდუბე, ძველო ტაძარო,
სავანე გმირთა-გმირისა!
აჭა მოვიდვენთ ცხედარი
მოღვაწე დვიძლი შეილისა.
შენ მიიბარე უძღური,
მქონე ბეგრეგარი წეღულისა.
დღეიდან შენ ხარ მთარველი
ქვეყნის მოყვარულ გულისა...
მოგვიკვდა მოძმე, მუშაკი,
მოყვარე თავის ერისა,
საერთო გლოვამ შესწევითა
წკრიალი სიმთა უღერისა.
„ბერ მეწისქვილეს“ კერასთან
ცრემლი სდის შეუშრობელი,
„ლომკაცი“ ძაძით მისილა,
მამა მოუკვდა მშობელი.
„რაში“ ტარებს ჭერის, ხვიხვიხებს,
ნატრანს შესწავის რადაცას...
„მზეთ უნახავი“ ცრემლით რწეავს
ძირს დედა მიწას, მადლა ცას.
„მამიდა ასმათს“, თმა გაშლილს,
სისხლის ცრემლები სდენია
შორს „კიკოლიკაც“ ქვეთინებს
გლოვა ვერ დაუთმენია.
ზარით მოთქვამენ მუშაკსა
თავისი დვიძლი შვილები,
მისი სისხლ-ხორციით ნახარდნი,
შასთან ჭირ გამოფლიალები...
აწ შენ გაბარებთ, დიდუბე,
მრომისგან დადალულია,
შენ ეაკვანე სნეულსა,
ძეგლი კი—ჩვენი გულია.

გიორგი ვარკეთილის საუღაწეო ნაწარმოები

წაკითხული ნოშრევენ მერკვილიძისაგან:

თიფლისში მცხოვრებ იმერთ შვილებმა შენს უღირს მონას სიტუვს მომანდო, რომ შენი ცხედრის მოჭირისუფლეთ გულის ტკივილი გამოგუცხადო.

მაგრამ რა მეთქმის, როდესაც ენა თნაირათ მაქვს შეკრულ-დაბმული და ის წუხილი ვერ გამომითქვამს, რასაც გრძობს ხალხის მწუხარე გული.

შოლოთ ეს ძაღმიძს თნავ გამოეთქვა, რაც სულს შენგანვე დრმათ დასხენია, უერთ თუ თვლით ნასმენ-ნახახი ამოუშეღათ გულს ჩამჩენია.

სულს გვისაზრდებს, და გულს ჭიფენს ნათელს შენი მოძღვრება დაუგოწარი და სანამ ხალხის გული იცოცხლებს არც შენ იქნები მანამდის მკვდარი.

ვაშა! მას, ვისაც არ უყვარს მადლით დაქვეითებულ ხალხის ეურება, ვაშა იმ მწერალს, ვისაც ხალხი სწამს და მას სიმართლით ემსახურება.

მწერალი არის ხალხის სიცოცხლე და ხალხიც არის მწერლის დიდება და ეს განიხილ რეულად ირდევვა, როცა მწერალი ხალხს ერიდება.

მწერალი ხალხის გულს ვერ მოიგებს და საკადრისათ ვერ იმსახურებს, თუ ის თვით ხალხში არ იმყოფება და მას მადლი თვრდით დაჭეურებს.

და აი, ამით დიდო, მოღვაწე, იუავ შენ მეტათ შესანიშნავი, ხალხი გიყვარდა და მტნებათ გწამდა, რომ გაგეწინა ხალხისთვის თავი!


ზოგთ არრად უნდა ებ შენი მტნება, შენ გზას უმართლო პირით ძრახავდა, ზიზღსა და მტრობას ვითა სიწმინდეს შენდაში მიმართ გულში მარხავდა.

და აი დღეს კი ზოგი მათგანნი უკან გამოჭევენ შენ წმინდა ცხედარს, სირცხვილი მათთვის, რომ ასხავებენ მოღვაწეს ცოცხალს და მოღვაწეს მკვდარს.

გიორგი ვარკეთილის.

(ლექსი მღვიმელისა, წარმოთქმული იმეროძის-მიერ)

იმ მცირე ნაწილს და იმ მცირე გუნდს ვინაც ადგენენ ჩვენს ძალთა ძალებს,



რამელთაც მხარში უდები ძმურათ,
 რამელთა გულიც დღეს აქ ვალალებს,
 მოშორდი უდრთ, მოუღოდნელათ
 ისეც თბობა არც შენ გვაკმაზე;
 ჩვენის სიცოცხლის ტანჯულს ფიქს
 კიდევ დაურთეთ ცრემლები მწარე.
 ჯერ დრო არ იყო შენი სიკვდილის,
 სავსათ გქონდა სიმხე და ძალა,
 შეგეძლო კიდევ წინ გაგვძოდოდოდი
 შენს მხვილს კალამს კვლავ ეფარ-ხმალა.
 მაგრამ ბუნების უცვლელ სიმკაცრეს
 გაჭეუ ადვილათ, ვით შემომწერადი,
 არ დაინანე ნამავარი

არცა „ჭკვილი“ და არცა „კვლი“.
 შენ მოკვდი მხლათ დღეს ხორციელათ,
 სახელი შენი უკვდავი არი,
 საქმენი შენი დაჩქება ჩვენში
 ვით სამლოცველო და ვით ტაძარი.
 გვამს ვეთხრებოთ შენსას, მუშაკა.
 ორი ღვიძლი ძმა ამერ-იმერი;
 მაგრამ საუვედურს გვიცხადებს თითქმის
 შენი მიმქრადი სახე და წვერი.
 აქ ნუ გადასტეპ მახინც წინაშართ
 ჩვენს სილახრეზე შენს გულის წერამას,
 უამბე მხლათ, რომ ვესწრათებით
 ერთათ მხნეობას და ერთათ შრომას.
 უთხარ რომ ჩვენშიც იღვიძებს ხალხი;
 დადგა ერთობის ახალი ხანა,
 რომ ბრმა აზრს აღარ ემორჩილება
 დღეს სხვებთან ერთათ ჩვენი ქვეყანა.

სიტყვა თფილისის მოსამხახურეთა წარმომადგენლის ვასილ
 კირვალაძისა

თფილისში მეოფი მოსამხახურები სულითა და გუ-
 ლით სწუნან.. სწუნან და ტირიან ძვირფასი მოღვაწის
 გიორგი ეჭვთიმეს ძის წერეთლის დაკარგვას...
 უფრო სწუნან და ტირიან მისთვის, რომ ჩვენში
 (ქართველბაში) გამოყრიენ მისთანა ზირები რომლებიც
 უსაფუძლოდ დენიან ამგვარ მოღვაწეებს... მე და ჩემთან
 სხვებიც ბევრი ზიზღით ვუუერეთ „იუკრიის“ ზირველ
 ნომერს, ვუუერებთ მისთვის რომ მასში სწერია რასაკვირ-
 ველია მათივე დამამცირებელი დაზღანდარობა. ჩვენ
 კერეთ წოდებული მდაბიო ხალხი არც ისე გრძობა და-
 მული ვართ, რომ ვერ გავარჩიოთ ავი და კარგი, დიადი.
 ჩვენ კარგათ გვესმის; რაც დასაკლისი დაგვაგლდა დღეს,
 მაგრამ ამით კი ვხუკეშობთ, რომ ხალხი უუარდა და ხა-
 ლხმავე სტა ზეტივი.. და არც დაივიწყებს გიორგი წერე-
 თელს.

დაუფიწყარო მოღვაწევ!

ნუ თუ დადუმდა კვ ბაკი
 კალამიშენი მტრელთა,

ნუ თუ აღარ გვეყვს მოძმენა
 გიორგი წერეთელია?
 ესარხლებოდა დახატულთ
 გულს-ელავდა მუშის ცრემლთა,
 ხმარობდა კალამს მახვილათ
 მუდამ სიმართლის მთქმელია.
 მაგრამ სიმართლევც ხანდისხან
 ზოგისთვის თურმე ჭრელია:
 დევნიან მართალს — უმართლოთ,
 ცხვრება ამის მქნელია.
 და შენ ძვირფასო მოღვაწევ
 დაგრჩა უკვდავი სახელი:
 არ დაკვივი ეგის აროდეს
 შენი ნაშრომის მხახველი.

გიორგი წერეთლის სახელობათ.

კიდევ სიკვდილი ტიადი,
 კიდევ ზედ მეტი ზვარავი!
 კიდევ აივსო ცრემლითა
 სამშობლო ქვეყნის ჭკალავი.
 მტირდებს მამულიშვილთა
 ისეც მტირელი ბანაკი!
 აქ-აქ მჩანს მებრძოლნი
 ჭადარა შეშენებულნი,
 სამშობლოს ჭირისუფაღნი,
 ქვეყნისთვის თავდადებულნი!
 გამთხვევით მარჯვენაზედა!
 მე თქვენამტ გენაცვლებითა!
 სამშობლოს ბედის მზიდველნი
 დავწლ შემოსილი ქედითა!
 გიორგი რაღა უყავით,
 ჩამოდადული ბრძოლითა?!

— თავი შესწირა მამულსა
 აუტანელი შრომითა!
 მწეუმსო კეთილთ! ცხვართა
 მწესიდი მუნელ ჩაუნრელათა;
 ხაღართ არ მიეც საჭმელათ,
 ჭყავდი დაჩაჯათ, მტველათა.
 ტირიან დათბლებულნი,
 იწურებინ ცრემლათა!

დაიდგო ძეგლი უკვდავი,
 თვით უმაგრესი რვალისა:
 გვასწავლე თავის დადება,
 გადასდა ქვეყნის ვალისა.
 აგვიგზნე გულში იმედი
 ხათელი მომავალისა!

თ. რაზიკაშვილი.

ორიოდე სიტყვა გიორგი ექ. ძე წერეთელზე.

გიორგი წერეთელს უჭირავს მესამოცე წლების მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი, იგი შესანიშნავი იყო ნიჭით, მიმართულებით და ენერგიით და აღჭურვილი იყო მრავალ-მხრივი ცოდნით. ისტორია, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა, ბუნების მეტყველება — ეს გაცნობილი ჰქონდა. ტანის სიმთელე სულის ძლიერებასთან შეერთებული და ორატორული ნიჭი, მოქალაქობრივ ნიჭთან ერთათ, ჰქმნიდნენ მას არა მარტო მწერლათ, არამედ პრაქტიკულ საზოგადო მოღვაწეთაც. იგი იყო, შეიძლება ვთქვათ, მთელი კაცი, მისი პიროვნება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ადვილათ იმორჩილებდა წრეს: მას თავის უნებურათ ემორჩილებოდნენ.

მისი სულიერი ძლიერება, რასაკვირველია, მის ნაწერებშიც გამოიხატა. მის გმირებს აზის ბეჭედი სიცოცხლის სიყვარულისა და ენერგიისა. საზოგადოთ მის თხზულებებში თავშეუკავებლათ ჩქეფს ენერგია. ჩანს, ქართველს ჯერ კიდევ ბევრი ძალა ჰქონია თავის სხეულში და შემცდარია, ვისაც ჰგონია, ქართველი დაიღალაო.

ავიღოთ, მაგალითათ, გიორგი წერეთლის ერთი ტიპთაგანი, თუნდ ბახვა ფულავა. რა ძლიერი, რა ღირსებებით შემკული ტიპია! და ამ ძლიერების გამოხატვაში არავითარი ნაძალადეობა არა ჩანს. ძალა თავისთავათ, თავისუფლათ მომდინარეობს! იქ ძალა არ არი, სადაც ვინმე თავს ძალას ატანს. გიორგი წერეთლის ნიჭმა და ძლიერმა სულმა გაუჭირვებლათ, ადვილათ, არ ნაძალადევათ, შეჰქმნეს შვენიერი, თავისუფალი, ძლიერი ტიპი ბახვა ფულავასი. გიორგი წერეთლის ენერგიის ქართველური სიუხვე გამოიხატა ბახვა ფულავაში, და საზოგადოთ, მისებურ ტიპებში. დასამტკიცებლათ ამისა შემეძლო მომეყვანა მრავალი შვენიერი, ხელოვნებით სავსე ადგილები, მაგრამ რა საჭიროა, იგინი ისეც დაუვიწყარი არიან ქართველი მკითხველის მესხიერებაში.


გიორგი წერეთლისებურათ ნაზათ, ძლიერათ, გაუზვიადებლათ შეიყვარებს ბუნებას მხოლოთ ტანითა და სულით მთელი.

მისი ტანის და სულის ძლიერებამ დაგვიტოვა მიმართულება თვით-არსებობის სიყვარულისა. მის გატაცებაში ჩანდა ძლიერი ადამიანის სული. მთელ თავის სიცოცხლეში იგი ისე შენატროდა თავის იდეალს, როგორც ახალგაზდა სასძლო თავის საყვარელ სასიძოს. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია, რომ იგი შეუღახველი იყო ცხოვრებისაგან: მან სძლია ცხოვრების ავი პირობები. მის ხნოყანებაში

მე სხვა არავინ მინახავს მისებრ გატაცებული ვისი იდეალებით. მის გატაცებაში ჩანდა ისევე ჰაბუკის სიფიცხე. დიად, გიორგი წერეთელი მოკვდა ისე, რომ არ მოხუცებულა.

თუმცა კი, ცხადია, როგორც ასე თავდავიწყებამდე გატაცებულს, სხვაზე მეტი სამსალა ასვა ოღმობელმა ცხოვრებამ, რომელიც ახლანდელ დროში მართალს და პატიოსანს უფრო დევნის! დიახ, ერთობ ბევრი სიმწარე გამოატარა გიორგი წერეთელს უსამართლო ცხოვრებამ! მისი ნაწი ძლიერ ბევრი აქანა აქეთ-იქით, ბევრ მღელვარე ზვირთებს ახლას და ბოლოს ხომ ყოველის მძლეველმა შთანთქა უდროოთ თავის ტალღებში, თუმცა კი მხოლოთ ტანი. სული კი აქ დარჩა უძლეველი საუკუნოთ, და მხოლოთ ეს გვანუგეშებს მის ცრემლის-მფრქვეველ მეგობრებს. საუკუნო იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო მოღვაწე!

3. წ.



სამკლოვიანო ტელეგრაფები.

კერძი. „გვალი“-ს რედაქციას და ანასტასია წერეთლისას. დაუვიწყარი მეგობრის უდროოთ გარდაცვალების მოულონელმა ამბავმა გამოუთქმელი მწუხარება მოგვაცენა. გულწრფელათ თანავუგრძნობთ თქვენ მწუხარებას.

მარკორი ვარდროპი.

მოსკოვი, ან. წერეთლისას.

აუწერელი მწუხარება მომაცენა ფრიად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწისა და საყვარელი მწერლის, დიდათ პატივცემულ გიორგის, გარდაცვალების ამბავმა. ვიგლოვ და ვტირი ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი კაცის დაკარგვას; ვუერთდები თქვენსა და მთელი საქართველოს მწუხარებას. უზენაესს ვევედრები დაუვიწყარი ქართველის სულს განსვენება მიანიჭოს მართალთა სამყოფელში, საცა მაგისი სახელოვანი წინაპრები განისვენებენ, თქვენ კი ღრმა მწუხარებაში ნუგეში არ მოგაკლოთ. გრიგოლ ეპისკოპოსი.

ადეს „გვალი“-ს რედაქციას.

ჩვენი გამოჩენილი მოღვაწის, დაუვიწყარი და ძვირფასი გიორგის, უდროოთ გარდაცვალებას ფრიად ვწუხვარ. წრფელის თანაგრძნობით ვუერთდები თქვენს მწუხარებას, რომელიც ამავე დროს მთელი ჩვენი ინტელიგენციის მწუხარებას შეადგენს

პეტრიაშვილი.

იუჩიევი. ან. წერეთლისას.

ქართველი სტუდენტები თქვენი მწუხარების თანამოზიარენი არიან, ქართული ლიტერატურის ერთი დაულალავი მუშაკის დაკარგვისა გამო.

ბერძენიშვილი.

ფდესა. „კვალი“-ს რედაქციას.

ნიჭიერი რომანისტი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების სამწუხარო ამბით შეწუხებული ქართველი სტუდენტები გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ რედაქციას, რომელსაც გიორგის გარდაცვალებით უზომო დასაკლისი ეწვია.

მასკაფი. „კვალი“-ს რედაქციას.

გულწრფელათ ვიგლოვ ქართველებისათვის იშვიათი საზოგადო მოღვაწის დაკარგვას.

ლიასამიძე.

კიევი. „კვალი“-ს რედაქციას.

ჩვენი მუშაკი, გიორგის, გარდაცვალების ამბავმა ღრმა მწუხარება მოგვაცენა.

ქართველი სტუდენტები.

პეტერბურდიან. „კვალი“-ს რედაქციას.

პეტერბურღში მყოფ ქართველების ერთმა ჯგუფმა დიდი მწუხარებით გაიგო ძვირფასი გიორგის, სამოცდა ათი წლების მოღვაწეების სიმბატიური და გამოჩენილი წვეგის, უღროთ დაკარგვა. გულდათუთქული ვუერთდებით იმ კაცის პატივისმცემლებს, ვინც იყო დაულალავი მუშაკი ქართული საზოგადო მოღვაწეობის ეკლიან გზაზე, უანგარო მოპირნახულე სამშობლო ლიტერატურისა, მტკიცე დამცველი თავისი რწმენების, ვინც ჩაუკვირდა თავის საყვარელ ერის მღვთმარებას და პირველმა გაუწოდა ხელი მის ახალ განსახოვნებულ ძალებს, რომლებსაც მოქმედების ასპარეზათ თავისი ქვეყნის უკვე მომწიფებული საჭიროებანი დაესახათ. ასეთი მოქმედებით გიორგიმ დაუმსახურებლათ მიიღო პრესის საყვედური და პირადი შეურაცხყოფაც კი. ვთხოვთ რედაქციას ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა გამოუცხადოს ნათესავებს, ოჯახს მწუხარებაში და განსაკუთრებით განსვენებულის ახალგაზდა შვილებს მოყვარული მამის დაკარგვაში. თუ გვიან არ იყოს გვერგვინით შეამკეთ ძვირფასი ცხედარი.

ისილორე კვიციანიძე.

მიხაილოვი. „კვალი“-ს რედაქციას.

პატივცემული საზოგადო მოღვაწის რომანის „პირველი ნაბიჯი“-ს ავტორის, გიორგი წერეთ-

ლის დაკარგვამ ღრმა მწუხარება მოგვაცენა. მიხაილოვი
ლოვის რკინის გზის ეკლესიაში პანაშვიდს ვინდობთ.
მიხაილოვის ქართველები.

სხალციხე. „კვალი“-ს რედაქციას.

ახალ ციხის ქართველმა საზოგადოებამ პანაშვიდი გადინა და ღრმა მწუხარებას გიცხადებთ დაუვიწყარი მოღვაწის, გიორგის, გარდაცვალებისა გამო.

საბუნხა. „კვალი“-ს რედაქციას.

იმ ცრემლთ ნაკადულს, რომელსაც აფრქვევს ქართველი საზოგადოება ფრიად საგრძნობი დასაკლისისა გამო, ჩვენ ცრემლებს შევუერთებთ.

ელისაბედ და ნიკო ელიავა.

ბათუმი. ან. წერეთლისას.

ბათუმის ქართველი საზოგადოება პანაშვიდს უხდის განსვენებულ მწერალს გ. წერეთელს და თავის მწუხარებას უერთებს მთელი ქართველობის გლოვას ნიჭიერი საზოგადო მოღვაწის დაკარგვის გამო.

ბერძენიშვილი.

ბათმი. „კვალი“-ს რედაქციას.

ცხარე ცრემლებით ვტირი ძვირსფასი გიორგის უღროთ დაკარგვას.

თეოდორე კიკვაძე.

ქუთაისი „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

იმისთანა მოღვაწის დაკარგვას, როგორც გიორგი იყო, წრფელი გულით ვწუხვართ; განსაკუთრებით მე, რომელმაც გულითადი მეგობარი დაკარგე. ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა მიიღეთ.

თავ.-აზ. წინამძღოლი სვიმონ წერეთელი.

ქუთაისი. ან. წერეთლისას.


დიდათ ვაფასებთ განსვენებულის ღვაწლს სამშობლო სიტყვიერების წინაშე, ვიგლოვთ პერიოდული მწერლობის პიონერს და უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებული ბელეტრისტის ოჯახს.

ალ. ნანიშვილი, კონ. ბაქრაძე, დ. წულუკიძე, ივ. პურალოვი, სერგ. ჯაფარიძე

ქუთაისი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

დიდათ შეწუხებული ვარ მოულოდნელი უბედურებით. ძალიან ვწუხვარ, რომ ავთომყოფობისა გამო მოსვლა არ შემიძლია.

დავ. ბაქრაძე.



ქუთაისი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრებისა და თვით მართველობის მოხელეთა მაგიერ და პირადათ მე გულითად თანაგრძნობას გიცხადებთ გიორგის უღროთ გარდაცვალების გამო. მისი დაკარგვით საზოგადოებას აკლდება ერთი გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწე.

ქუთაისის ქალაქის თავი ლალუა.

ქუთაისი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

სათავად-აზნაურო სასწავლებელი გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ. დაუვიწყარი გიორგის დაკარგვამ ყველა ძალიან შეაწუხა.

სასწავლებლის ინსპექტორი გარსევანაშვილი.

ჭიათურა. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

პანაშვიდს ვუხდით ჩვენ ძვირფას გიორგის და უზენაეს ვევედრებით, რომ მის სულს განუსვენოს. თქვენ კი ამ მძიმე მწუხარების გადატანა შეგაძლებიოთ.

სახჩერის სკოლების მოსწავლენი.

ჭიათურა. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

დღეს თავად წერეთლებმა ურიცხვი საზოგადოების თანადასწრებით პანაშვიდი გადავუხადეთ ჩვენ ძვირფას გიორგის და თქვენთან ერთათ ვტირით მის დაკარგვას. გადავციტ ჩვენი მწუხარება თქვენს შვილებს.

კნენა ელ. წერეთლისა.

სუფსა. „კვალი“-ს რედაქციას.

პანაშვიდს ვიხვდით და ქართველი ხალხის საზოგადო მწუხარებას ჩვენ გულწრფელ გლოვას ვუერთებთ დაუვიწყარი მუშაკის ძვირფასი გიორგის გარდაცვალებისა გამო.

სუფსელები.

ყანსი. „კვალი“-ს რედაქციას.

უღროთ გარდაცვალებული გიორგი წერეთლის განსახვენებლათ ვლოცულობთ და ჩვენ ღრმა მწუხარებას ვუცხადებთ რედაქციას. სამშობლო ქვეყანამ დაჰკარგა დაუღალავი და ძლიერი მუშაკი, რომელმაც იშვიათი თავგანწირვით შეწირა მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ძალ-ღონე ძვირფასი სამშობლოს უანგარო სამსახურს სამშობლო ლიტერატურის ეკლიან გზაზე. საუკუნო იყოს მისი ხსოვნა მადლიერი სამშობლოს შემეცნებაში.

ყარსის ქართველობა.

ფოთი. ან. წერეთლისას.

თქვენი ძვირფასი მეუღლისა და ჩვენი საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების ამბავმა გული დავვიწყალა.

კობრიძე, ჭიჭინაძე.

ოზურგეთი. „კვალი“-ს რედაქციას.

ოზურგეთის ინტელიგენცია აფასებს რა განსვენებული გიორგის წარსულ(!!) ღვაწლს სამშობლო ლიტერატურის სასარგებლოთ, განსვენებულის ოჯახს მწუხარებით უცხადებს თავის თანაგრძნობას.

თელავი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

უღრმესი მწუხარებით აღვნიშნავთ ქართველი საზოგადოების მძიმე დასაკლისს. გიორგის გარდაცვალებით მას მოაკლდა თავგანწირული მუშაკი, რომელიც სხვა სახელოვან მოღვაწეებთან ერთათ გამოვიდა მესამოცე წლებში სალიტერატურო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ასპარეზზე. თქვენი უზომო მწუხარების გულწრფელი თანამოზიარენი ვართ.

თელაველი ქართველი ქალები.

თელავი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისას.

დიდი მწუხარება მოგვაყენა გიორგის გარდაცვალების ამბავმა, რომელიც თავგამოდებით ემსახურებოდა ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ინტერესებს საზოგადოებრივ, სალიტერატურო და სამეცნიერო ასპარეზზე. ვლოცულობთ მისთვის და თქვენს მწუხარებას ვუერთდებით.

კახელები.

ბაქა. „კვალი“-ს რედაქციას.

მწუხარებით დალონებული გთხოვთ ჩემი ცრემლები შეუერთოთ იმ ცრემლთა ზღვას, რომელსაც აფრქვევს მთელი საქართველო ძვირფასი გიორგის დაკარგვისა გამო. დედამიწამ განუსვენოს მას.

ელიაშვილი.

ბაქა. „კვალი“-ს რედაქციას.

ბაქოს ქართველი საზოგადოება გთხოვთ, მისი ღრმა მწუხარება შეუერთოთ სამშობლოს საზოგადო გლოვას თავგანწირული გიორგის დაკარგვისა გამო.

ქუთაისი. ან. წერეთლისას.

ვუერთდებით ქართველთა მწუხარებას, რომელთაც დაჰკარგეს დაუღალავი და ნიჭიერი მუშაკი სალიტერატურო ასპარეზზე და ამასთანავე გულითად თანაგრძნობას გიცხადებთ თქვენი მეუღლის, დაუვიწყარი გიორგის, გარდაცვალებისა გამო.

გრიგოლ და მელანია გველესიანი.

სახუმი. „კვალი“-ს რედაქციას.

სახუმელნი ვუერთდებით მთელი ქართველოგის მწუხარებას, რომლის საზოგადოებასა და ლი-

ტერატურას მძიმე დასაკლისი ეწვია გიორგი წერეთლის გარდაცვალებით.

თ. სახოკია.

შორაპანი. „კვალი“-ს რედაქციას.

ჩვენი ლამპარის, გიორგის, უდროოთ გარდაცვალებამ ყველა დიდათ შეგვაწუხა; ქართველი საზოგადოებისა და მისი მწერლობის მწუხარებას მთელი ჩვენი არსებით ვუერთდებით. ღმერთმა მიანიჭოს განსვენებულის ოჯახს ნუგეში, ჩვენთვის კი მისი მაგიერი ხელმძღვანელობა და მოღვაწეობა მის შვილებს გაეწიოს.

შორაპნის სადგურის მოხელენი.

სიღნაღი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისს.

გულწრფელათ თანაუგრძნობთ თქვენს უბედურებას.

ლიასამიძე

ქარელი. „კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისს.

გულითადი თანამოზიარე ვარ თქვენი მწუხარებისა ძვირფასი და დაუვიწყარი გიორგის დაკარგვისა გამო.

ლუარსაბ ციციშვილი.

ქარელი. კვალი“-ს რედაქციას და ან. წერეთლისს.

გულწრფელათ თანაუგრძნობთ თქვენს მწუხარებას.

კატო ციციშვილისა.

ღანჩუთი. ან. წერეთლისს.

ღანჩუთის საზოგადოებამ ინტელიგენციისა და ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გადუხადა ჩვენი სამშობლოს სასიქადულო შვილისა და თქვენი ძვირფასი მეუღლის, გიორგის სულის, მოსახსენებლათ და უღრმეს თანაგრძნობას გიცხადებთ აუნაზღაურებელ დასაკლისში.

ღანჩუთის ინტელიგენცია

ახალქუთაი. „კვალი“-ს რედაქციას.

ძველი სენაკის სააზნაურო სკოლას და მასწავლებლებს საშინელი მწუხარება მიაყენა ძვირფასი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის უდროოთ გარდაცვალების ამბავმა. სამწუხარო ამბის გვიან მიღებისა გამო, ჩვენ წარმომადგენელს ვეღარა ვგზავნით. სკოლის ეკლესიაში პანაშვიდებს ვიხდით.

წითლიძე, ლორთქიფანიძე, ჯანაშია, ბერიძე.

ღაქჩუშიაძან: გიორგი წერეთლის უდროოთ დაკარგვამ შეგვაწუხა ყველა ლეჩხუმელი. თავდაზნაურთა წინამძღოლის თაოსნობით ცაგერის სობოროში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ლეჩხუმის ინტელიგენციის და მრავალი ხალხის თანადასწრებით. პანაშვიდის დაწყებამდე მარშალმა თ-დ იასონ გელოვანმა, ბლალოჩინმა გერსამიამ წარმოთქვეს მგრძ-

ნობიარე სიტყვა გიორგი წერეთლის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მღვდლიევი.

ახალქალაქი. კვალი“-ს რედაქციას.


ახალქალაქის ქართველი საზოგადოება და სამღვდლოება ღრმით შეწუხებულია პატივცემულ გიორგი წერეთლის გარდაცვალებით და უცხადებს სამძიმარს ანასტასია წერეთლისას. 16 ამ თვეს პანაშვიდი გადავიხადეთ. 1)

ჩიტაძე.

გვირგვინები.

- 1) დაუვიწყარ მამულიშვილს და საიშვიათო მშრომელს ბ-ნ გიორგის, მის პატივის მცემელ ვახტანგ ლამაზიძისა და ალექსანდრე დიასამიძისაგან.
- 2) ცნობილ ბელეტრისტს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს ძმათა წერეთლების წიგნის მალაზიდან.
- 3) საზოგადოების ყოფილ წევრს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან.
- 4) დაუღალავ მუშაკს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს გორის ქართველობისაგან.
- 5) დაუვიწყარს გიორგი წერეთელს. ნოე ჟორდანიასაგან.
- 6) ძვირფას მოღვაწეს და დაუვიწყარ მამულის შვილს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. გიორგი ნიკოლოზის ძის სნირტლადისაგან.
- 7) ჩვენს საზოგადო მუშაკს გიორგი წერეთელს, ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის „შრომისაგან“.
- 8) დაუვიწყარს მწერალს გ. ე. წერეთელს „მომბის“- „ცნობის ფურცლის“ რედაქციისა და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.
- 9) დაუვიწყარს მოღვაწეს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს თფილისის სტამბების მომუშავეთაგან.
„ნეტარ ხარ, პატიოსანო,
დასაწყის დასასულითა,
რა ეგებები საფლავსა
ეგზომ ღიადი სულითა!“
- 10) Незабвенной памяти георгія Ефимовича цетрели. отъ города тифлиса.
- 11) სასიქადულო მამულის შვილს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს, თბილისის საბაღოსნო სკოლის ქართველ მოწაფეებისაგან.
- 12) ერისთვის თავდადებულს, საქართველოში პირველათ ქართული გაზეთების დამაარსებელთა მამათ მთავარს გიორგი წერეთელს. ექვთიმე ივ. ხელაძისაგან.
- 13) ეკლის გვირგვინით მოსიქს გიორგი წერეთელს— დაფნის გვირგვინი. „ეკლის“ მკითხველთ თფილისელ ქალებისაგან.
- 14) საუკეთესო მოღვაწეთაგანს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. სათავდაზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან.
- 15) გიორგი წერეთელს, ქიათურელებისაგან.

1) ამით ვათავებთ უფრო საყურადღებო დეპეშების ბეჭედს. ყველა დეპეშების დაბეჭედს მთელი ნომერი მოუწდება.



- 16) ძველ ამხანაგს გიორგი წერეთელს ნ. ნიკოლაძის საგან.
- 17) მამას, ელენე, ლევან და ირაკლ ძვირფას მეუღლეს. ანასტასია.
- 18) პოკვდა ის, ვინც ეწემა, თავი შეწირა სიმართლეს, ვისგანც იძლია სიბნელე და გზა მიეცა სინათლეს... მრავალ ტანჯულ ლიტერატორს, გიორგი წერეთელს. ქუთაისის ქართველ ნოქრებისაგან.
- 19) „ნობათი“ -ს თანამშრომელს გიორგი წერეთელს ანდრია ლულაძისაგან.
- 20) სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ მუშაკს, გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. თფილ. პირველი და მესამე გიმნაზიის ქართველთა ახალგაზღვრებისაგან.
- 21) ქართული რომანის მამათმთავარს გიორგი წერეთელს, ტფილისის ქართველ ქალებისაგან.
- 22) გიორგი წერეთელს. წიგნების გამომცემელ „გლეხის“ ამხანაგობისაგან.
„კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება, ვისაც ვერ დასძლევა მტრის ოქრო, ვერც მისი მკაცრი ბრძანება. ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ღომეგული მოეფხანება, ვინც დასთბევს მისთვის წმიდა სისხლს, მოწამეს დაეგვანება!“
- 23) დაუღალავს ქართველს ლიტერატორს გიორგი წერეთელს.
ხსენება შენი ჩვენ შორის
წმიდა იქნება მარადის
ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლისაგან.
- 24) გიორგი წერეთელს, ენერგიულ და ნაყოფიერ მოღვაწეს „კვალის“ თანამშრომელთა და თანაგრძნობელთაგან თფილისი.
- 25) დაუვიწყარს მამულიშვილს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. თფილისში მოვაჭრე დასავლეთ საქართველოს შვილთაგან.
„ჩვენს დიდებულს წრეს. სამშობლოსთვის მომუშავე რაზმს, დააკლდა მუშა... შეეწირა სამშობლოს მსხვერპლათ! აქ ვალ მოხილი წრფელი გულით და სინიდასით იქ საკადრისად წინაპრებთან წარსდგა პირნათლათ!“
- 26) დაუღალავ მუშაკს გიორგი წერეთელს. მოსკოვის ქართველი სტუდენტები და პროფესორი ა. ხახანაშვილისაგან.
- 27) გიორგი წერეთელს. ბათუმის ქართველ საზოგადოებისაგან.
- 29) Георгію Церетели. отъ редакціи „Мшакъ“
- 28) გიორგი წერეთელს, ქუთაისელ ხმონებისა და ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთაგან.
- 30) სიმართლისათვის ტანჯულ ძვირფას მოღვაწეს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. თფილისის რკინის გზის სადგურის დაბალ მოხელეთაგან
- 31) დაუვიწყარს ძვირფას გიორგი წერეთელს, მედგარ მებრძოლს საქართველოს ერისათვის. ნიკო დიასამიძის ოჯახისაგან.
- 32) უანგარო საზოგადო მოღვაწეს გ. ე. წერეთელს, ქუთაისის მიხეილის სათავად აზნაურო ბანკისაგან
- 33) ცნობილ მწერალს გიორგი წერეთელს. თფილისის სათავად აზნაურო სკოლის მასწავლებელთაგან.
- 34) გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. „ივერიის“ რედაქციისაგან.
- 35) Неутомимому общественному дѣятелю Георгію Ефимовичу Церетели отъ учащейся молодежи.
- 36) ბეჭვდითი ხიტყვიერების მხცოვან მოღვაწეს გიორ-

- გი წერელს ბეჭვდითი სიტყვის მუშათაგან ი. კილაძის ხელაძის სტამბისაგან ქუთაისი.
- 37) Незабвенному общественному дѣятелю и дорогому зятю Георгію Церетели отъ Георгія, Василія и Конст. Тумановыхъ.
- 38) ჩვენ დაუვიწყარ საყვარელს გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს. ღრმით მწუხარე რკინის გზის დეპოს მუშებისაგან.
- 39) დაუღალავ მოღვაწეს გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელს სამასწავლებლო ინსტიტუტის ქართველ მოწაფეებისაგან.
„დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი, ბევრჯელ მამარცხეს მაგრამ არვის წინ არ მომიხრია ამაყი თავი!“
- 40) პატიოსან მწერალს და დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელს, ქართველ ფარმაცევტებისაგან.
- 41) ღირაუელ შვილს და უანგარო მოღვაწეს ჩვენი ძვირფასი ქვეყნისას გიორგი წერეთელს, ტომსკის სტუდენტებისაგან.
- 42) გიორგი წერეთელს, გაბრიელის ბიბლიოთეკიდან ქუთაისი.
- 43) გიორგი წერეთელს, ქართულ თეატრის არტისტებისაგან.
- 44) გიორგი წერეთელს, ქართული საურთიერთო საკრედიტო ბანკის მმართველის პავლე თუმანიშვილის და მისი თანამოსამსახურეთაგან.
- 45) გიორგი წერეთელს, ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისაგან.
- 46) ძნელია, მხოლოდ მცირე გუნდს, როცა აკლდება მშრომელი. თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებისაგან.
- 47) დაუღალავ თავგანწირულ მოღვაწეს გიორგი წერეთელს, განჯელ ქართველებსაგან.
- 48) ჩვენი ცხოვრების დამასურათებელს და მუშაკს გიორგი წერეთელს, კავკასის ქართველებისაგან.
- 49) „გზა ეკლიანი ცხოვრებისა შენც ვანვლე და აღბეჭდეცა ნავალი“. გიორგი წერეთელს ქუთაისის ახალგაზღვრებისაგან.
- 50) დაუღალავ მუშაკს გიორგი წერეთელს წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან. ქუთაისი.
- 51) გიორგი ექვთიმეს ძეს წერეთელს შორაპნის უეზლის თავდაზნაურთაგან.
- 52) გიორგი წერეთელს ქუთაისის ხელოსანთა საზოგადოებისაგან.
შრომისა შვილო, შრომის უღელმა
შენცა მოგიდნო მზე-უნახავი.
მაგრამ ვსასოებთ, შენსა ნაშრომსა
ექნება შემდეგ ბარაქა, ხვავი.
- 53) ქართველთა დაუვიწყარს ბელლეტრისტს გიორგი წერეთელს ფოთის საზოგადოებისაგან.
- 54) დაუღალავს მუშაკს გიორგი წერეთელს ყაზანის სტუდენტებისაგან.
- 55) დაუღალავს მუშაკს და ნიჭიერ მწერალს გიორგი წერეთელს ქუთაისის ქართველ ინტელიგენტ ქალთაგან.
- 56) გიორგი წერეთელს ყვირილის საზოგადოებისაგან. ვინც თვის მამულზედ მარად ჰფიქრობდა და სამშობლოსთვის უძგერდა გული, მისი სახელი უკუნისამდე იყოს მაღალი და კურთხეული.


57) გეორგიუ ეფიმოვიჩუ ცერეთელი. отъ общества учителей.

58) ჩვენს გიორგი წერეთელს. „კვალისა“ და „ჯგჯილისა“ რედაქციისაგან.

59) გიორგი წერეთელს. კირილე ლორთქიფანიძისაგან. ქუთაისი.

60) პატოსან მუშაკს გიორგი წერეთელს. ბათუმის ქართველ მუშებისაგან.

61) Вѣчно незобвенному труженику Г. Е. церетели отъ редакціи агбюръ—таравъ.



სამგლოვიარო კორესპონდენციები.

სად. განჯა. აქაური ქართველობა დიდად დაადონა ჩვენი დაუღალავი საზოგადო მოღვაწის და ნიჭიერი მწერლის გიორგი წერეთლის გარდაცვალებამ.

გაიგეს რა ეს სამწუხარო ამბავი, გადაწყვიტეს გაგზავნონ სამძიმრის დეპეშა განსვენებულის სახლობასთან და დასაფლავების დღეს-კი დეპუტაცია გვირგვინით მიცვალბულის კუბოს შესამკობათ. ამას გარდა ვადახდოდ იქნა პანაშვიდი სადგურის სკოლის ეკლესიაში. შაფათს—15—იანვარს თითქმის მთელი სადგურის ქართველობა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ეკლესიაში მიეშურებოდა, სადაც ქართულ ენაზე ვადახდა პანაშვიდი და პანაშვიდს შემდეგ წარმოთქვა გრძნობით სავსე სიტყვა განჯის სადგურის მღვდელმა მამა ესტატე მირიანაშვილმა.

აქვე ვარდგენთ ამ სიტყვასაც, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მსვენებლებზე ¹⁾.

ს. დოლიძე.

ბათუმიდან: კვირას, 16 ამ თვეს აქაურ ქართულ საზოგადოების დასწრებით, ვადახდოდ იქნა პანაშვიდი განსვენებული გ. ე. წერეთლის სულის მოსახსენებლათ, პანაშვიდის შემდეგ მამა ს. თოთბაძემ საზოგადოებას მოკლეთ ვაცნო გ. ე. წერეთლის მოღვაწეობა. აქაური ქართველი მუშები რომელიც ვაცნობოდ იყვენ გ. ე. წერეთლის შრომა მოღვაწეობაზე, გულ დათუთქული არიან, მისი დაკარგვით.


გ. ტუსკია.

ქუთაისიდან: ამ დღეებში ტელეგრაფამ დარად სამწუხარო ამბავი აუწყო ქუთაისის ინტელიგენციას და მათთან ჩვენ დაჩაივებულ მუშათა ყურამდინაც მოაღწია. ეს ვახლდათ აწ უკვე გაწსვენებული, პატივცემული ლიტერატორის გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლის გარდაცვალება: მისი გარდაცვალების ვაგებამ ყველას თავზარი დაგვცა, შეგვაძრწუნა და გული მწარეთ დაგვიწყლულა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მწუხარებას ზედ დაერთო მეტათ შემაწუხებელი საქციელი ქუთაისის თეატრის გამგებელისა, რამაც შეაწუხა არამც თუ მარტო ერთი წილი საზოგადოებისა, არამედ ჩვენ უბრალო მუშებშიაც-კი გამოიწვია სამდურავი ჩვენი სათაყვანო ალექსევ-მესხიშვილისადმი. ხუთშაბათს 13 იანვარს მთელმა ქუთაისმა გაიგო გარდაცვალება დაუღალავი მოღვაწისა და თეატრის გამგებელისათვის-კი ნაგვიანვეი შეიქნა ეს და საქირათ არა სცნო წარმოდგენა ვადავლო შემდეგისათვის, მით უმეტეს რომ საზოგადოების ერთი წილი გულმხურვალეთ სთხოვდა

¹⁾ ამ სიტყვას დაესტამბავთ შემდეგ ნომერში. რედ.

ბატ. ალექსევ-მესხიშვილს. ეს საქციელი ეკალივით დაგვესო გულზე; თუ-კი შარშან 27 იენვარს პატივცემულ და რია ფაღვას გარდაცვალებისა ვამო ვადადებულ ჩვენს წარმოდგენა, ნუ-თუ დღეს, პატივცემული ლიტერატორი და დაუღალავი მოღვაწე გიორგი წერეთელი, რომელმაც თავი ი დღენი ისე ვადაბოლოვა, რომ კალამი არ დაუგდია, ღირსი არ იყო წარმოდგენის ვადადებისა?.. თვითონ რომ დაჭირდებათ ხომ გვ-თამაშებენ თავიანთ ნებაზე და ერთ და იმავე წარმოდგენას, თუ გინდ ცხრაჯერ ვადადებენ!.. ამ ვარამობამ დალიან გვატკინა გული ქუთაისის მდაბიო ხალხს... პატივცემული გიორგი, დეე იქ მოგენიჭოს ნეტარყოფილი განსვენება და აქ ჩვენ, მუშათა გუნდმა, სამუდამოთ დავიცვათ შენი ხსოვნა...

ალ. ილიაძე.



წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, რომ თქვენს ვანუხაზულერელს მწუხარება ჩვენი გულითადი მწუხარებაც შეეფერთოთ ყველასათვის დაუვიწყარი მოღვაწის, თქვენი ძვირფასი მეუღლის, გიორგი ექვთიმეს ძის გარდაცვალების ვამო.

დიდათ ვწუხვართ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავესწროთ მის ვამოსალმებას, ჩვენი წრფელი ცრემლებიც დავაფრქვიოთ მის ნათელ ნაშთს და ნიშნათ უღრმესი პატივისცემისა გვირგვინით შევამკოთ მისი ცხედარი.

ამიტომ უმორჩილესათ ვთხოვთ მის სახელზე ორ დარიბ სოფლის სკოლას უგზავნოთ თქვენი საყმაწვილო ჟურნალი „ჯგჯილი“ რომლის ზვედრ ფულს მალე ვახლებთ.

თანამგრძობი ქუთათური ქართველი გიმნაზიელები.

ქ. ქუთაისი.

15 იანვარს

რედაქტორ.-გამომცემეული ან. თ.-წერეთლისა.

ქართული თეატრი

კვირას, 23 იანვარს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ბატონ. ალექსევ მესხიშვილის მოწაწილად.

წარმოდგენილი იქნება:

I

ბელს ვერ წაუხვალ

დრამა 4 მოქ. თხზ. მანგაგერისა, თარგ. მ. ნასიძისა.

II

ცოლი ორის დღითა

ვოდევ. 1 მოქმ. თარგ. ნ. ყიფიანისა. მოთამაშენი: ქ. ქ. კარგარელი, ნებიერიძე, აფხაზიშვილი; ბ. ბ. ალექსევ-მესხიშვილი, ყიფიანი, გელევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე ქელოძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორები: ა. აბაშიძე კ. მესხი.